პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 233 (3717)

28 ნოემბერი, 1968 წ. ხუთშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.

! ეს საინტერესო სპორტიდან !

◆ **ბუქარესტი, 27 ნოემბერი.** აქ დაიწყო ხელბურთელ ქალთა ტურნირი „ბუქარესტის თასზე", რომელშიც მონაწილეობენ სსრ კავშირის, უნგრეთის, გდრ-ის, იუგოსლავიისა და რუმინეთის ორი გუნდი (ახალგაზრდული და მოზრდილთა). საბჭოთა და გდრ-ის სპორტსმენთა შეხვედრა ფრედ — 11:11 (6:6) დამთავრდა. ანგარიში თითქმის მთელი მატჩის მანძილზე მიაყოვდათ გერმანელებს. და რომ საბჭოთა ხელბურთელებმა არ წაგებულ, მეკარე სოკოლოვას უნდა უმადლოდნენ. დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: რუმინეთი (ნაკრები) — რუმინეთი (ახალგაზრდული) 17:8, იუგოსლავია — უნგრეთი 10:8.

◆ **ესკილსტუნა,** 27 ნოემბერი. **შვეციის ამ ქალაქში მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა დანიისა და ქვეყნის ხელბურთელ ვაუთა გუნდების შეხვედრა — 16:14 (7:4).**

◆ **უპსალა,** 27 ნოემბერი. მაგიდის ჩოგბურთელთა ევროპული ლიგის პირველობის ერთ-ერთმა ფავორიტებმა— შვეციის ნაკრების სპორტსმენებმა დაამარცხეს ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლები — 4:3. 2 ქულა შესძინა შვედებს ევროპის ჩემპიონმა ჩ. იუპანსონმა, რომელმაც ერთნაირი ანგარიშით (2:0) დაამარცხა ი. სტანეკი და ს. ლკოლაროვიჩი. ასეთივე ანგარიშით მოუგო ევროპის ჩემპიონმა ილონა ვოშტაკამ შვეიცელ მარიტა ნეიდერტს.

◆ *კესნი (გფრ),* 27 ნოემბერი. *ადგილობრივი გუნდი მტკ გავიდა კალათბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მეორე წრეში. მან ორივეჯერ დაამარცხა შვედური კლუბი „ალვიკს ბრომნა" სტოკჰოლმიდან (88:62 შინ და 61:60 — სტუმრად).*

◆ **ვარშავა, 27 ნოემბერი.** ბიატლონში მსოფლიოს 1969 წლის ჩემპიონატის ორგანიზატორებმა განაცხადი მიიღეს 14 ქვეყნიდან — ინგლისი, ავსტრია, ჩეხოსლოვაკია, ფინეთი, საფრანგეთი, კანადა, ნორვეგია, გდრ, გფრ, პოლონეთი, რუმინეთი, შვეიცარია, შვეცია და სსრ კავშირი. ელიან, რომ მათ შეუერთდებიან მონღოლეთის, იაპონიის, იტალიისა და აშშ-ს სპორტსმენები.

◆ **სტამბოლი,** 27 ნოემბერი. **მარათონული საავტომობილო რალის ლონდონი — სიდნეის მონაწილეებმა გაიარეს ინგლისის, საფრანგეთის, იუგოსლავიის, ბულგარეთის გზებზე და დღეს დილით უკან მოიტოვეს თურქეთის ეს ქალაქიც. რამდენიმე ეკიპაჟმა ვერ გაუძლო ბრძოლის დაძაბულობას და „ვადამდე" დაამთავრა შეჯიბრება. ოთხივე საბჭოთა „მოსკვიჩი" წარმატებით აგრძელებს რბოლას. სამ ეკიპაჟს არც ერთი წამი დაგვიანება არა აქვს საკონტროლო პუნქტებში. მხოლოდ № 98 „მოსკვიჩის" ეკიპაჟს — უ. აავასა და ფ. ლისოვსკის, ალპებში მიღებული დაზიანების გამო, 24 საჯარიმო ქულა აქვს. სტამბოლში საბჭოთა სპორტსმენები ვადამდე 2,5 საათით ადრე ჩავიდნენ. შეამოწმეს მანქანები, ისაუზმეს და სანამ განაგრძობდნენ გზას, მოასწრეს ცოტა დასვენებაც. ახლა იწყება სხვა კონტინენტის — აზიის გზები.**

◆ **მეხიკო,** 27 ნოემბერი. **წარმატებით დაიწყეს ასპარეზობა საბჭოთა სპორტსმენებმა მექსიკის მრავალდღიან ველორბოლაში. ვ. სოკოლოვი I ეტაპზე მესამე იყო.**

მსოფლიო ჩემპიონატის კალენდარი

მომავალი წლის 15 მარტს შვეციის დედაქალაქ სტოკჰოლმში სტარტს აიღებს ჰოკეისტთა მორიგი მსოფლიო ჩემპიონატი. სპორტის ამ სახეობის მოყვარულთათვის ინტერესმოკლებული არ იქნება გათამაშების კალენდარი.

15 მარტი. ჩეხოსლოვაკია — კანადა, შვეიცია — ფინეთი, სსრ კავშირი — აშშ. 16 მარტი. კანადა — ფინეთი, სსრ კავშირი — შვეიცია, ჩეხოსლოვაკია — აშშ. 18 მარტი. ჩეხოსლოვაკია — ფინეთი, შვეიცია — აშშ, სსრ კავშირი — კანადა. 19 მარტი. სსრ კავშირი — ფინეთი, ჩეხოსლოვაკია — შვეცია. 20 მარტი. კანადა—აშშ. 21 მარტი. კანადა — შვეიცია, ჩეხოსლოვაკია — სსრ კავშირი. 22 მარტი. ფინეთი — აშშ. 23 მარტი. აშშ — სსრ კავშირი, ფინეთი — შვეიცია, კანადა — ჩეხოსლოვაკია. 24 მარტი. შვეიცია — სსრ კავშირი. 25 მარტი. ფინეთი — ჩეხოსლოვაკია, აშშ — კანადა. 26 მარტი. ფინეთი— სსრ კავშირი, აშშ — ჩეხოსლოვაკია. 27 მარტი. შვეიცია — კანადა. 28 მარტი. ჩეხოსლოვაკია — სსრ კავშირი. 29 მარტი. ფინეთი — კანადა, აშშ — შვეიცია. 30 მარტი. აშშ — ფინეთი, შვეიცია — ჩეხოსლოვაკია, კანადა — სსრ კავშირი.

▲ **ათულ** მეტეოროლოგიურ პირობებში მიმდინარეობდა II საერთაშორისო მარათონი „ვლტავა", რომლის მარშრუტი იყო პრაღა—ზბრასლავი და იგივე გზა უკან. გაიმარჯვა ინგლისელმა ჯ. ნიიუსომ — 2:21.25,8. მასპინძელთა წარმომადგენელი ვ. მლადეკი მას 3.14,4 წამით ჩამორჩა. გუნდურ ჩათვლაშიც ინგლისელებმა იმარჯვეს — 4:47.56,8.

▲ **როგორც ანატოლიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, თურქეთის სპორტის ხელმძღვანელებმა გამოაცხადეს, რომ თავისუფალი და კლასიკური სტილით მოჭიდავეთა მორიგ მსოფლიო ჩემპიონატში (არგენტინა, 1969 წ.) ამ ქვეყნის გუნდები შეიძლება არ გამოვიდნენ. მიზეზი ისაა, რომ შესაბამისი ფედერაციები თურქეთში ფინანსურ კრიზისს განიცდიან.**

▲ **დასავლეთ ბერლინის დახურულ დარბაზში გაიმართა საერთაშორისო შეჯიბრება მძლეოსნობაში. 110 მ თარჯრბენში მეხიკოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა, ამერიკელმა ე. ჰოლმა 60 მეტრზე თარჯრბენში 0,1 წამით გაუსწრო ე. ოტოს (იტალია) მსოფლიო მიღწევა — 7,7 წამი. ოლიმპიურმა ჩემპიონმა სიგრენმა ჭოკით მხოლოდ 460 სმ დაძლია, II პრიზიორმა შიპროვსკიმ — 5 მ.**

▲ **ველოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ გადაწყვიტა მსოფლიო ჩემპიონატი კოსში 1969 წლის 23 თებერვალს გამართოს მაგშჩადში (შტუტჰარტის განაპირას).**

ჭადრაკი

ოქრის მედლისა და ოლიმპიური საგზურისთვის

გასულ ვარშავაში ქალთა IV საჭადრაკო ოლიმპიადა უნდა გაიმართოს. ამ შეჯიბრებაში, რა თქმა უნდა, სსრ კავშირის გუნდიც მიიღებს მონაწილეობას. საბჭოთა მოჭადრაკეები პოლონეთის დედაქალაქში ჩაიტანენ ვერა მენჩიკის სახელობის ოქროს თასს, რომელიც დღიდან მისი შემოღებისა მოსკოვში ბინადრობს.

ცნობილია საბჭოთა გუნდის მხოლოდ ორი წევრი: მსოფლიო ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი და პრეტენდენტი ა. კუშნირი. მესამე წევრი უნდა იყოს სსრ კავშირის ჩემპიონი, მისი ვინაობა კი უცნობია. აშხაბადში გამართულმა პირველობამ ვერ გამოავლინა ოქროს მედლის მფლობელი, მან ამ მედლის ღირსად თბილელი ოსტატები ნ. ალექსანდრია და ა. ჩაიკოვსკაია დაასახელა.

სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციამ აუცილებლად მიიჩნია ალექსანდრია — ჩაიკოვსკაიას მატჩის გამართვა, რათა გამოვლინდეს როგორც სსრ კავშირის ჩემპიონი, ისე ჩვენი ოლიმპიური გუნდის მესამე წევრი. ამ მატჩის ჩატარება საქართველოს ჭადრაკის ფედერაციას დავალა.

და აი, დღეს თბილისში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის კლუბში, სტარტს აიღებს ეს უაღრესად მიმზიდველი ორთაბრძოლა. მეტოქეებმა 6 პარტია უნდა გაითამაშონ. გამარჯვებულად მას ცნობენ, ვინც პირველი მოაგროვებს 3,5 ქულას. თუ მატჩი ყაიმით (3:3) დასრულდა, მოჭადრაკეები ბრძოლას გააგრძელებენ ერთ-ერთი მხარის პირველ მოგებამდე.

ნ. ალექსანდრიასა და ა. ჩაიკოვსკაიას კარგად იცნობენ ჭადრაკის მოყვარულნი. 1965 წელს მათ საქართველოს პირველობაში I-II ადგილები გაიყვეს, 1966 წელს ნანა სსრ კავშირისა და საქართველოს ჩემპიონი გახდა, წლეულს კი პირველი მივიდა საქართველოს ქალთა V საერთაშორისო ტურნირის ფინიშზე. 1967 წელს ალექსანდრიამ პრეტენდენტთა .სუბოტიცას (იუგოსლავია) ტურნირშიც ითამაშა.

ა. ჩაიკოვსკაია 1958 წლიდან თითქმის მუდამ მონაწილეობს სსრ კავშირის ჩემპიონატებში და ამ შეჯიბრებაში ბევრი გამოჩენილი მოჭადრაკე დაუმარცხებია. მის აქტივშია გამარჯვება მსოფლიო ჩემპიონებთან ნ. გაფრინდაშვილთან, ე. ბიკოვასთან და ლ. რუდენკოსთან. მაგრამ საპრიზო ადგილებზე ალა ჩაიკოვსკაია მხოლოდ ამ ბოლო წლებში გადის. საქართველოს ქალთა საერთაშორისო ტურნირებში მას ხშირად დაუკავებია II ადგილი. ასე იყო წლეულსაც.

ნ. ალექსანდრია ინგლისურ ენას ეუფლება თბილისის უნივერსიტეტში, ჩაიკოვსკაიამ კი ეს ენა რამდენიმე წლის წინ შეისწავლა თბილისის უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში. ახლა იგი საქართველოს სავაჭრო პალატაში მუშაობს.

მკვეთრად განსხვავდება მეტოქეთა სტილი. ალექსანდრიას იერიში, კომბინაცია უყვარს, თამაშობს გაბედულად, გამომწვევად, უშეღავათოდ. ჩაიკოვსკაიას მოსწონს მშვიდობიანი პოზიციური ბრძოლა. იგი არასოდეს ჩქარობს. მისი თამაშის ძლიერი მხარეა თანმიმდევრული, ლოგიკური გეგმის შეუპოვარი გახორციელება. ჩაიკოვსკაია უხეშად იშვიათად ცდება.

ალექსანდრია და ჩაიკოვსკაია ბევრჯერ შეხვდრიან ერთმანეთს ტურნირებში. საერთო ანგარიში საყაიმოა— 2,5:2,5. წლეულს ისინი ერთმანეთს ორჯერ შეხვდნენ: საერთაშორისო ტურნირში მოიგო ჩაიკოვსკაიამ, აშხაბადში — ალექსანდრიამ.

ძნელია გამარჯვებულის გამოცნობა, თუმცა ნანა მეტოქეზე 15 წლით უმცროსია. ამ შემთხვევაში ჩვენი აზრით ასაკს გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, ვინ როგორაა მომზადებული და როგორი განწყობით ჩაებმება ძნელ შეჯიბრებაში.

თ. გიორგაძე.

საჯარიმო ტყორცნა. ფოტოეტიუდი ა. ააკოვისა.

ფინიშის სწორზე

გორი, 26 ნოემბერი. (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ვ. ქარსელაძის საჭადრაკო მემორიალი ფინიშის სწორზე გავიდა.

დღეს გაიმართა X ტური. ბ. გურგენიძემ მოუგო ი. ჩიქოვანს, ზ. მიქაძემ — ვ. მუკნაშვილს. მსოფლიო ჩემპიონ ნ. გაფრინდაშვილისა და დიდოსტატ ე. გელერის შეხვედრა ყაიმით დასრულდა. დაზავდნენ ე. გუფელდი და ა. ბოკუნავაც. მსოფლიოს ექს-ჩემპიონის მ. ტალისა და ლ. გრიგორიანის პარტია გადაიდო.

10 ტურის შემდეგ ტურნირის ერთპიროვნული ლიდერი ისევ ტალია, რომელსაც 6,5 ქულა აქვს.

ასე გადაწყვიტეს

მოსკოვი, 27 ნოემბერი. კალათბურთის საკავშირო ფედერაციის გადაწყვეტილებით ცსკა-ს კალათბურთელები მონაწილეობას მიიღებენ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის, ხოლო თბილისის დინამოელები ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში.

ლეივერი და კინგი

ცნობილმა ჟურნალმა „უორლდ ტენისმა" გამოაქვეყნა მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელთა ათეულების სია 1968 წლისთვის. მასში შედიან როგორც პროფესიონალები, ისე მოყვარულები.

აი, ეს ათეულები:

ვაჟები: 1. როდ ლეივერი (ავსტრალია), 2. არტურ აში (აშშ), 3. ტომ ოკერი (ჰოლანდია), 4. კენ როზუელი (ავსტრალია), 5. ჯონ ნიუკომბი (ავსტრალია), 6. ტონი როჩე (ავსტრალია), 7. კლარკ გრებნერი (აშშ), 8. კლიფ დრისდეილი (სამხრეთ აფრიკა), 9. პანჩო გონზალესი (აშშ), 10. დენის რალსტონი (აშშ).

ქალები: 1. ბილი ჟოან კინგი (აშშ), 2. ნენსი რიჩი (აშშ), 3. მარგარეტ კურტი (ავსტრალია), 4. ვირჯინია უეიდი (ინგლისი), 5. ანნ ჯონსი (ინგლისი), 6. ჯუდი ტეგარტი (ავსტრალია), 7. მარია ესთერ ბუენო (ბრაზილია), 8. ანეტ დე პლეი (სამხრეთ აფრიკა), 9. ლესლი ბოური (ავსტრალია), 10. როზ-მარი კაზალსი (აშშ).

შრომისა და სპორტის რაიონული განყოფილება

ნარსულსა და მომავალზე

„ინტერვიუ“

ამას წინათ სამტრედიაში გაიმართა „განთიადის“ რაისაბჭოს კონფერენცია, რომელმაც თავმჯდომარედ კვლავ მ. გაგუა აირჩია. რაისაბჭოს თავმჯდომარეს შეხვდა ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი ვ. ბუკინი და ესაუბრა მას განვლილ მუშაობაზე, სამერმისო ამოცანებზე.

● ჩვენ ერთმანეთს პირველად ორი წლის წინ შევხვდით. მაშინ მსურდა დამეწერა თქვენი რაისაბჭოს მუშაობის გამოცდილებაზე, მაგრამ ვერ მოვახერხე. თუ შეიძლება, გვიამბეთ რამდენი კოლექტივი გყავთ, როგორ მუშაობთ.

— რაისაბჭო ხელმძღვანელობს ფაბრიკა-ქარხნების 17 ფიზკულტურულ კოლექტივს, რომლებშიც 2654 კაცია გაერთიანებული. ფიზკულტურელები ყოველწლიურად სამჯერ აბარებენ სპორტულ გამოცდას. ჯერ შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები ეწყობა, შემდეგ ზონალური, ბოლოს კი რაიონული ტურნირები. ადრე ვაჟები უფრო ხშირად ასპარეზობდნენ, წლეულს კი ქალთა სპარტაკიადაც ჩატარდა.

● როგორ დაიწყეთ, თავიდან-ვე ყველაფერი ასე იოლად წარიმართა?

— როცა რაისაბჭოს ხელმძღვანელობა მომანდეს, ბევრი რამ იყო გასაკეთებელი. ფაბრიკებისა და ქარხნების ხელმძღვანელები მაინცდამაინც არ ზრუნავდნენ ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისთვის. მაშინ ხერხს მივმართეთ: ტურნირები იმ საწარმოთა ტერიტორიაზე დავნიშნეთ, რომელთაც საკუთარი ბაზები არ ჰქონდათ. იმერეთში კარგი მასპინძლობა იციან და ცხადია, თავის შერცხვენა არავის უნდოდა. მომავალი შეჯიბრებებისთვის სარბიელს აწყობდნენ. რაიონში თანდათან გამრავლდა ბაზები. ახლა ჩვენი ფიზკულტურელების განკარგულებაშია 3 კომპლექსური მოედანი, ფრენბურთის 16, კალათბურთის 8 მოედანი და ფეხბურთის 3 მინდორი.

● კმაყოფილი ხართ არსებული ბაზებით?

— არა. არც ერთ კოლექტივს არა აქვს ზამთრის საკუთარი ბაზა. უამისოდ კი ძნელია სერიოზულ წარმატებაზე ფიქრი. ზამთარი სამტრედიაშიც ზამთარია და ღია ცის ქვეშ ვარჯიში აქაც რამდენიმე თვით წყდება. გვყავს სპორტის ოსტატები და მაღალთანრიგოსნებიც. დავასახელებ, მაგალითად, მექანიკური ქარხნის „საქართველოს ჩაის“ თანამშრომელს, მოჭიდავე ნ. სტურუას. ამ ქარხნის 220 თანამშრომლიდან 173 ფიზკულტურელია, ამასთან, ყველა მათგანი რეგულარულად ვარჯიშობს. ქარხანაში დიდი ყურადღება ექცევა საწარმოო ტანვარჯიშს, რომელმაც, როგორც პრაქტიკამ დაგვანახვა, პირველმა მისცა მშრომელებს სპორტის საგზური. აქვთ პირველხარისხოვანი სპორტული მოედნები. სწორედ ამიტომ იყო, რომ საქართველოს სოფლის ხელბურთელთა ჩემპიონატის მასპინძლობა მათ დაავალეს. ქარხნის ფიზკულტურული კოლექტივის წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის დირექტორს შ. გოგავას. იგი ფიზკულტურულ კოლექტივს თვითონ უდგას სათავეში. მაგრამ ზამთრის ბაზა არც ამ კოლექტივს აქვს.

● რაისაბჭოს კონფერენციაზე საკონსერვო კომბინატის მუშამ ა. მაჩიტაძემ თქვა, რომ რაიონული სპარტაკიადის დებულება ფიზკულტურულმა საბჭომ მაშინ მიიღო, როცა ახპარეზობა უკვე იწყებოდა. რას გვეტყვით ამაზე?

— შეჯიბრების დებულება ყველას დროულად დაეგზავნა. მაგრამ საკონსერვო კომბინატში ამ დებულებას ერთ ხანს დირექტორსა და კომკავშირულ ორგანიზაციას შორის უმოგზაურია. როგორც ჩანს, კომბინატში ფიქრობენ, რომ სპორტი ხელს უშლის შრომის ნაყოფიერების ზრდას. საკონსერვო კომბინატის დირექტორს პ. ნადირაძეს, ხილის წყლების ქარხნის დირექტორს ვ. თურმანიძეს, სამშენებლო მასალათა ქარხნის დირექტორს ნ. ხაჟალიას მაგალითი მექანიკური ქარხნის დირექტორისგან რომ გადაეღოთ, სამტრედიის „განთიადის“ რაისაბჭოსაც მეტი წარმატება ექნებოდა.

● თქვენ ალბათ მხედველობიდან ამოგრჩათ ბამბის სართავი ფაბრიკის დირექტორის პ. ჯანელიძის კარგი მუშაობა.

— გეთანხმებით. ჯანელიძე გულისხმიერი მუშაკია, რომელსაც კარგად ესმის ფიზკულტურისა და სპორტის მნიშვნელობა შრომის ნაყოფიერების ზრდაში. ქებით უნდა მოვიხსენიო ხის დამუშავებელი კომბინატის დირექტორი ვ. კოპალეიშვილი და ადრეშუმსახვევი ფაბრიკის დირექტორი გ. კოპალეიშვილი.

● როგორ შეასრულეთ ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების წლევანდელი გეგმა-ვალდებულება?

— ამ მხრივ ცუდი მაჩვენებლები როდი გვაქვს. ყველა გეგმა პირველი ნოემბრისთვის შევასრულეთ. მოვამზადეთ ორი პირველთანრიგოსანი (მოჭადრაკე ბ. თელია ხორცკომბინატის ფიზკულტურული საბჭოს თავმჯდომარეა). მეორე თანრიგის ნორმატივი შეასრულა 38-მა, ხოლო მესამესი — 392 ფიზკულტურელმა. სადღეისოდ ამ მაჩვენებლებსაც გადავაჭარბეთ. ეს წარმატება ფიზკულტურულ კოლექტივებში მუშაობის კარგად წარმართვამ განაპირობა. რაიონულ სპარტაკიადაში განთიადელებმა პირველობა დაისაკუთრეს. „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს დაუსწრებელ საზაფხულო „ჯანმრთელობის სპარტაკიადაში“ საუკეთესო შედეგისთვის სამახსოვრო ჯილდო მივიღეთ.

● როგორც გვითხრეს, ახლახან თქვენს რაიონში „საქვებმშენის“ № 2 ტრესტის საწარმოო კომბინატი შექმნილა. როგორაა საქმე ახლა ამ ორგანიზაციაში?

— შესანიშნავად. კოლექტივი უკვე საკმაოდ მომძლავრდა. კომბინატის ვაჟებმა „განთიადის“ სპარტაკიადაში II ადგილები დაიკავეს ფრენბურთსა და კალათბურთში. ამ წარმოებაში მოაწყვეს საკუთარი სპორტული მოედნებიც. წარმატებაში დიდი დამსახურება მიუძღვით კომბინატის დირექტორს ა. ჩიქოვანს და ფიზკულტურული საბჭოს თავმჯდომარეს რ. დოლიძეს.

● როგორ გეხმარებათ „განთიადის“ ცენტრალური საბჭო?

— ვერ დაეემდურებით. ოღონდ ეგ არის, მეტი ფინანსური დახმარება გვჭირდება, თორემ წლიდან წლამდე თითო-ოროლა ტურნირში მონაწილეობას ძლივს ვახერხებთ. რესპუბლიკურ შეჯიბრებებში იშვიათად გამოსვლა ხელს გვიშლის მაღალთანრიგოსნების მომზადებასა და გამოცდილებას შეძენაში.

* * *

რაისაბჭოს თავმჯდომარე დაუღალავი, შრომისმოყვარე, ენერგიული კაცია, დილიდან საღამომდე მოსვენება არა აქვს, ხან ერთ კოლექტივს მიაკითხავს, ხან მეორეს, ყველგან საჭირო და სასურველი სტუმარია. იგი საზოგადოებრივ საქმიანობასაც არ ივიწყებს: მძლეოსნობაში რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯია და ხშირად ტურნირებსაც ემსახურება.

სურათზე: მ. გაგუა (მარჯვნიდან მეორე) სამტრედიაში პრაქტიკაზე მყოფ თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებს მ. გელეიშვილს, გ. ურუშაძესა და ი. ხიტირს აცნობს მომავლის გეგმებს.

ფოტო ვ. ბუკინისა.

ჩემპიონი ნი წლისაა

შებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის გიორგი ღვინიანიძის ნახვა გაგვიჭირდა. ვვითხრეს, ახლა ბრიგადებში იქნება წასული. დირექტორის სპორტულ საქმიანობაზე კი სხვამ გვიამბო. ღვინიანიძე „კოლმეურნის“ რაისაბჭოს ჩემპიონი ყოფილა ტყვიის სროლაში. 60 წლის თანრიგოსანი დირექტორი თურმე წარმატებით უძღვება მეურნეობის სროლის სექციასაც. აღზრდილებს მწვრთნელი არ შეურცხვენიათ. მეურნეობის მუშამ ა. კუჭავამ 100-დან 90 ქულა მოაგროვა, თანრიგიც მოიპოვა და დირექტორთან მხოლოდ უარესი „ათიანების“ გამო წააგო.

ღვინიანიძე ფეხბურთელებისა და ფრენბურთელების დიდი გულშემატკივარიცაა. დირექტორი კარგ მაგალითს აძლევს სხვებს. მეურნეობის მთავარი ბუღალტერი ა. ჭანჭალეიშვილი და კომკავშირული ორგანიზატორი ე. კანდელაკი მეურნეობის მოშაშეთა გუნდის წევრები არიან. ამ მეურნეობის მოშაშეებმა „კოლმეურნის“ რაისაბჭოს ჩემპიონატში II ადგილი დაიკავეს. მეურნეობის მთავარი ინჟინერი გ. აბრამაძე მოჭადრაკეთა ჯგუფს ხელმძღვანელობს. მისმა აღზრდილებმა ერთის წლის მანძილზე შეძლეს რაიონის სოფლის სპორტსმენთა შეჯიბრების მეორე პრიზიორები გამხდარიყვნენ. მეურნეობაში (570 თანამშრომლიდან 262 ფიზკულტურელია) ქართული ჭიდაობაც უყვართ. იქ ვარჯიშობენ, სადაც თავის დროზე სსრ კავშირისა და მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ე. ბალავაძე ვარჯიშობდა. სხვათა შორის, მეურნეობის ბიჭებსაც ბალავაძის პირველი მწვრთნელი დ. მიქაძე წვრთნის. მუშები ე. ცაგურია, გ. შენგელია, ვ. მიქაძე ნიჭიერი სპორტსმენები არიან. შარშანდელ რაიონულ პირველობაში მათ II ადგილები დაიკავეს, მეურნეობის ლელობურთელებმა კი ჩემპიონობა დაისაკუთრეს.

ეს წარმატება გულმოდგინე მუშაობამ და კარგმა ბაზებმა განაპირობა. შარშან საკუთარი ძალებით მოაწყვეს ფეხბურთის მინდორი და ფრენბურთის მოედანი. კარგი გუნდებიც ჰყავთ. რაიონში ფეხბურთელებმა IV, ხოლო ფრენბურთელებმა III ადგილი დაისაკუთრეს. ხშირად იმართება შიდასაკოლექტივო ტურნირები, იწვევენ მეზობლებს, თვითონაც ესტუმრებიან ხოლმე მათ. ასე იზრდება და მტკიცდება კოლექტივი.

ამას წინათ ფიზკულტურულ კოლექტივში ანგარიშება-არჩევნები გაიმართა. ფიზკულტურის ინსტრუქტორს ა. ბარამიძეს სტადიონის მშენებლობისათვის ზრუნვა დაავალეს, და დაპირდნენ, რომ მხარში ამოუდგებიან ამ საქმეში.

ვ. ბერბერაშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

სოფელი ღანირი.

ერთი მათგანი

სამტრედიის ბამბის სართავი ფაბრიკის სართავ საამქროში ორმოცი გოგონა მუშაობს, მე კი მხოლოდ ერთ მათგანზე გიამბობთ. ყურადღებით დააკვირდით ამ სურათს. ეს გახლავთ „ყველაზე მებრძოლი“ ფიზორგი მზია ბიბიჩაძე.

ფრენბურთის თამაში მზიამ ფაბრიკაში მოსვლის შემდეგ დაიწყო და ამხანაგებიც დაეინტერესა.

— ჯერ მოედანი მოვაწყოთ, — თქვა ფაბრიკის კომორგმა ლუიზა ბუაძემ.

მალე საკუთარი ძალებით მოწყობილი მოედანი მზად იყო. დაიწყეს ვარჯიში. მზია თანდათან დაეუფლა ფრენბურთის თამაშის წესებს, ტექნიკას. წლეულს იგი უკვე მეორეთანრიგოსანია. ახლა მწვრთნელობასაც მოჰკიდა ხელი — საამქროს გუნდს ჩაუდგა სათავეში და ფაბრიკის ჩემპიონობაც მოიპოვა.

მზია გამონაკლისი როდია. ამ საწარმოში სექციებს საზოგადოებრივ საწყისებზე ხელმძღვანელობენ აქტივისტები, უფრო გამოცდილნი ახალბედებს გადასცემენ ცოდნას. სამამულო ომის მონაწილის დურგალ გ. მოწყობილის აღზრდილები სროლაში რაიონული შეჯიბრებების ხშირი მონაწილენი და პრიზიორები არიან. ჰყავთ კარგი მაგიდის ჩოგბურთელებიც, რომელთაც ბ. დუკერი — რაიონის პირველი ჩოგანი ავარჯიშებს. ფაბრიკის 500-მდე თანამშრომლიდან ყოველი მეორე ფიზკულტურელია.

— „როგორ გავხდი ფიზკულტურელი?“ — კითხვა დამიბრუნა შემკეთებელი ბრიგადის ოსტატმა რ. მუქერიამ. — საწარმოო ტანვარჯიშის წყალობით. ჩვენთან ამ გამაჯანსაღებელ ღონისძიებაში ბევრია ჩაბმული. მეც მომეწონა, მერე კი რეგულარული ვარჯიში დავიწყე. ახლა მეორეთანრიგოსანი ვარ და სხვებსაც ვეხმარები.

ფაბრიკაში უყვართ ტურიზმი. ტურისტებს ინჟინერი ზ. დოლიძე თავკაცობს. წლეულს იყვნენ რაიონის ღირსშესანიშნავ ადგილებში, დათვალიერეს გელათი, მოაწყეს ექსკურსია სოხუმსა და კახეთში.

ყველაზე მეტად მაინც ფეხბურთი იზიდავთ. არცაა გასაკვირი. ფაბრიკის ფეხბურთელები „განთიადის“ რაიონული საბჭოს წლევანდელი ჩემპიონები არიან. გუნდის ამ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტს ო. გეგეშიძეს, რომელმაც ფეხბურთის მწვრთნელობა საზოგადოებრივ საწყისებზე ივალდებულა და კარგადაც გაართვა თავი საქმეს.

ბ. ვარშანგაძე.

რატომ მოხდა ასე?

ფიზკულტურა და სპორტი დღეს უკვე მოსახლეობის ფართო მასების, ყველა ასაკისა და პროფესიის ადამიანების საკუთრებაა, მაგრამ მისი სათავეები მაინც სკოლაში იწყება. სხვა საგნების მსგავსად ფიზკულტურის სწავლებაც აკადემიური საათებით არის გათვალისწინებული.

სამწუხაროდ, ყველა სკოლა როდია აღჭურვილი საჭირო სპორტული ნაგებობებით. ამ მხრივ საქმე უფრო ცუდად იმ სკოლებშია, რომლებიც ძველ შენობებში არიან მოთავსებული. სულ სხვაა თანამედროვე ტიპის სკოლები. აქ თითქმის ყველა წვრილმანია გათვალისწინებული.

ამ ბოლო წლებში თბილისს ბევრი ახალი სკოლა შეემატა. მათ რიცხვს ეკუთვნის 140-ე სკოლაც (დირექტორი შ. დავითაია), რომლის ისტორია 1968 წლის სექტემბრიდან იწყება. ნაოელი დერეფნები, ხასკოლო ოთახები და ჩინებული კაბინეტები მასწავლებელთა და მოსწავლეთა მადლობას იმსახურებს.

სკოლამ ამ მცირე დროშიც შეძლო სპორტში წარმატებების მოპოვება. ამ სკოლის კალათბურთელმა გოგონებმა საქალაქო სპარტაკიადაში III საპრიზო ადგილი დაიკავეს, ხოლო ველოსიპედისტმა ლეონავამ საგზატკეცილო რბოლაში I ადგილი მოიპოვა.

მაგრამ ასეთი შესანიშნავი შენობის პატრონებს სპარტაკიადისთვის მზადება 35-ე სკოლის სპორტულ ბაზებზე უხდებოდათ. 140-ე სკოლაში სპორტდარბაზისა და სააქტო დარბაზის „მოვალეობას“ ერთი დარბაზი ასრულებს თავისი ავანსცენითა და კინოკამერისთვის განკუთვნილი კედლით. ნაცვლად 24×12 კვადრატული მეტრისა, დარბაზი 18×9 კვადრატული მეტრს შეადგენს. არც ერთი კედელი კალათბურთის ფარის დასამაგრებლად არ გამოდგება, ამ სკოლაში კი ათას ბავშვზე მეტი სწავლობს. ხშირად რამდენიმე კლასს ერთსა და იმავე საათებში აქვს მეცადინეობა. რასაკვირველია, ასეთ პირობებში ბავშვთა ნამდვილ ფიზიკურ წრთობაზე ლაპარაკი ზედმეტია. ახალი სკოლისთვის არც ეზოში გამოყოფილი სპორტსოედანი ჩაუბარებიათ (ასფალტის მოგება პროექტით გათვალისწინებული არ ყოფილა).

საკვირველია, დამპროექტებლებს და მშენებლებს (თბილმშენის მე-8 სამშენებლო სამმართველოს უფროსი ნ. სიხარულიძე, მთავარი ინჟინერი ო. მუსერიძე, სამუშაოს მწარმოებელი პ. ნადარეიშვილი) რატომ არ მიუქცევიათ ყურადღება ისეთი მნიშვნელოვანი უბნისთვის, როგორიც სკოლის სპორტული ნაგებობებია.

ნინო ხარებავა.

საქართველოს ჯიუტოსანი

დასასრულს უახლოვდება საქართველოს პირველობის გათამაშება ფეხბურთში. 24 ნოემბერს შედგა ბოლო ტურის შეხვედრები.

● **„სულორი“ (ვანი) — „გარეჯი. (საგარეჯო) 5:1. მსაჯი ა. სიანოზოვი (თბილისი).**

თამაში თავიდანვე მასპინძელთა უპირატესობით მიმდინარეობდა, რომლებმაც (ჭიაბერაშვილი) გახსნეს კიდეც ანგარიში. ამ გოლს მოჰყვა „გარეჯის“ საპასუხო იერიშები და ჩახუნაშვილმა გაქვითა გოლი — 1:1. მეორე ტაიმში „სულორს“ ხელიდან არ გაუშვია ინიციატივა. ჯანელიძემ, ჩომახიძემ, ავალიანმა და ბრედნიკოვმა თითქმის ზედიზედ გაიტანეს 4 ბურთი და დიდი ანგარიშით გამარჯვება მოუტანეს თავიანთ გუნდს.

● **„მშენებელი“ (სიღნაღი) — „ლაითური“ (მახარაძის რაიონი) 1:0. მსაჯი ვ. შახნაზაროვი (თბილისი).**



ᲯᲣᲯᲘᲜ...

თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხუთგზის ჩემპიონი — ბერლინის „ფორვერტსი“.

საინტერესო მატჩი დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 3:0.

● **„ისანი“ (თბილისი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 0:0. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).**

● **„არაგვი“ (მცხეთა) — „დურუჯი“ (ყვარელი) 0:0. მსაჯი. ხ. დუბროვი (თბილისი).**

თამაში მიმდინარეობდა უფერულად, ორივე გუნდი ხშირად უშვებდა შეცდომებს და მატჩი ისე დამთავრდა, რომ მაყურებლებმა ვერც ერთ კართან ვერ ნახეს საინტერესო, დაძაბული მომენტები.

● **„აერო“ (გალი) — „სინათლე“ (თბილისი) 1:1. მსაჯი ლ. ჯობაძე (ხაშური).**

● **„ქართლი“ (გორის რაიონი)— „კოლხეთი“ (ცხაკაია) 2:1. მსაჯი ა. ჭკუასელი (თბილისი).**

მატჩში მონაწილე გუნდებს თითქმის დიამეტრალურად საწინააღმდეგო მდგომარეობა უკავიათ გათამაშების ცხრილში. ცხაკაიას გუნდი სპრიზო ადგილების ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტია, ხოლო გორელები აუტსაიდერთა შორის იმყოფებიან. და მიუხედავად ამისა, მატჩი დაძაბული ბრძოლით აღინიშნა. ტონი თამაშს მასპინძლებმა მისცეს, რომლებიც ამ დღეს აგრესიულად იყვნენ განწყობილნი. „ქართლის“ სწრაფ შეტევებს „კოლხეთმა“ სამაგიერო კონტრიერიშებით უპასუხა და მინდორზე გაჩაღდა შეუპოვარი ბრძოლა. რევაზიშვილმა მე-9 წუთზე თავისი გარღვევა გოლით დაამთავრა და შესვენებისთვის ანგარიშში წინ იყვნენ გორელი ფეხბურთელები — 1:0. შესვენების შემდეგ ესპებუამ საპასუხო ბურთი გაიტანა „ქართლის“ კარში — 1:1. მალე იმავე რევაზიშვილმა, რომლის დაკავება სტუმრებმა ვერაფრით ვერ შეძლეს, მორიგი შეტევა განახორციელა და ზუსტი დარტყმით დაამთავრა იგი — 2:1. მასპინძლებმა დამსახურებულად გაიმარჯვეს, თუმცა ცხაკაიელ ფეხბურთელთა მისამართით უნდა ითქვას, რომ ამ დღეს ისინი სუსტად თამაშობდნენ.

● **ასკ (თბილისი) — „მესხეთი“ (ახალციხე) 0:0. მსაჯი ა. ჩიფჩიური (თბილისი).**

ანალოგიური ამბავი მოხდა გათამაშების ერთპიროვნული ლიდერის — თბილისის არმიელთა გუნდის შეხვედრაში ახალციხის „მესხეთთან“. სტუმრებმა ყველაფერი გააკეთეს საიმისოდ, რომ თუნდაც ქულა აეღოთ თავიანთ ძლიერ მეტოქესთან შეხვედრაში და გუნდმა შეძლო კიდეც ამ ამოცანის შესრულება. თბილისელები იძულებული იყვნენ დასჯერებოდნენ ფრეს.

● **„ფეიქარი“ (წულუკიძე) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 2:3. მსაჯი ა. იზრაელაშვილი (ფოთი).**

● **„ნარინჯი“ (ბათუმის რაიონი) — „სპარტაკი“ (ბორჯომი) 2:0. მსაჯი თ. გრიგორაშვილი (თბილისი).**

ბათუმელი ფეხბურთელები მაქსიმალური მონდომებით თამაშობდნენ დასაწყისიდანვე და უკვე შესვენებისთვის გაინაღდეს გამარჯვება. ორივე ბურთი მათ პირველ ტაიმში გაიტანეს.

შედგა აგრეთვე წინა ტურებში გამოტოვებული შეხვედრები. „ქართლმა“ (გორის რაიონი) მოუგო საგარეჯოს „გარეჯს“ — 3:1, სამტრედიის „ლოკომოტივი“ დამარცხდა თბილისის „სინათლესთან“ შეხვედრაში — 1:2; ხოლო აწყურის „სამცხემ“ მოუგო „ტაბაწყურს“ (ახალციხის რაიონი) — 4:1.

ჩოხატაურის „ბაბთარი“ — „ბაბთარი“ ვება ჩაეთვალა წალენჯიხის „კოლმეურნეთანთან“, ხოლო აწყურის „სამცხეს“ — სამტრედიის „ლოკომოტივთან“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

I ჯგუფის II ქვეჯგუფი

II ზონა.

„კოლხეთმშენი“ (ფოთი) — „განთადი“ (აბაშა) 2:2, „სამგურალი“ (წყალტუბო) — „ელექტრიკოსი“ (ქუთაისი) 1:0. გეგეჭკორის „სალხინოს“ გამარჯვება ჩაეთვალა მაიაკოვსკის „საირმესთან“ შეხვედრაში.

რესპუბლიკური ჩემპიონატის I ჯგუფში ჩასატარებელი დარჩა სულ 8 გამოტოვებული მატჩი. გათამაშება დამთავრდება 7 დეკემბერს.

გათამაშების ცხრილი

I ჯგუფის I ქვეჯგუფი

მდგომარეობა 27 ნოემბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ასკ (თბილისი)	42	24	12	6	70—29	60
ფიზკულტურის ინსტ. (თბილისი)	40	22	12	6	71—38	56
„კოლხეთი“ (ცხაკაია)	41	21	13	7	72—34	55
„მეტალურგი“ (ზესტაფონი)	41	18	17	6	59—28	53
„სინათლე“ (თბილისი)	38	21	8	9	55—31	50
„სულორი“ (ვანი)	42	20	8	14	54—38	48
„ლოკომოტივი“ (სამტრედია)	42	18	12	12	64—57	48
„სპარტაკი“ (ბორჯომი)	41	16	12	13	56—47	44
„ფეიქარი“ (წულუკიძე)	42	15	12	15	47—50	42
„დურუჯი“ (ყვარელი)	42	13	15	14	56—43	41
„მშენებელი“ (სიღნაღი)	42	15	11	16	37—51	41
„აერო“ (გალი)	42	12	15	15	41—47	39
„ბაბთარი“ (ჩოხატაური)	42	15	9	18	52—64	39
„ლაითური“ (მახარაძის რ-ნი)	42	13	12	17	35—36	38
„კოლმეურნე“ (წალენჯიხა)	42	14	8	20	41—54	36
„სამცხე“ (აწყური)	41	12	11	18	45—56	35
„ნარინჯი“ (ბათუმის რაიონი)	42	11	13	18	37—56	35
„მესხეთი“ (ახალციხე)	40	10	13	17	31—45	33
„ქართლი“ (გორის რაიონი)	41	12	9	20	43—60	33
„ისანი“ (თბილისი)	40	11	10	19	29—46	32
„არაგვი“ (მცხეთა)	42	9	7	26	28—62	25
„ბარეჯი“ (საგარეჯო)	41	8	9	24	34—74	25

ᲥᲮᲠᲘᲚᲘ ᲥᲐᲯᲔᲥᲘ

● **ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲢᲘ**, 26 ნოემბერი. აქ გაიმართა წყალბურთში ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების მეორე ნახევარფინალური ტურნირი. პირველ ადგილზე გავიდა ადგილობრივი „ფერენცვაროში“, მეორე იყო ბუქარესტის „დინამო“. ორივე გუნდი გამოვა ფინალში. როგორც უკვე ვიტყობინებოდით ერთი ნახევარფინალური ტურნირი ზაგრებში მოეწყო და იქიდან სამმა კოლექტივმა — ადგილობრივმა „მლადოსტმა“, მაგდებურგისა და მოსკოვის დინამოელებმა მოიპოვეს გადამწყვეტი ბრძოლის უფლება.

● **ᲑᲠᲘᲣᲡᲚᲘ**, 26 ნოემბერი. მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ევროპის კომიტეტის აქ გამართულ სხდომაზე გადაწყდა ევროპის 1971 წლის ჩემპიონატი გაიმართოს ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკში.

● **ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ**, 26 ნოემბერი. დედაქალაქისა და ლენინგრადელ მოჭადრაკეთა ტრადიციული მატჩი შეწყდა მაშინ, როცა ანგარიში 39,5:39,5 იყო. მატჩის ბედი ლენინგრადელ ვ. ლიავდანსკისა და ა. ვოლოვიჩის პარტიის დამთავრებას უნდა გადაეწყვიტა. შეიქმნა ძალზე საინტერესო პოზიცია, როცა 90 სვლის შემდეგ მსაჯებმა პარტია შეწყვიტეს. მათ შედეგის დასადგენად მოუხმეს მატჩის მთავარ არბიტრს, დიდოსტატ ლ. პოლუგაევსკის და სხვა ცნობილ სპეციალისტებს. მაგრამ ყოველი მათგანის ცდა ამაო გამოდგა. შედეგი გამოქვეყნდება მხოლოდ მრავალსაათიანი, ღრმა ანალიზის შემდეგ. ჯერჯერობით კი ანგარიში საყაიმოა. მოგაგონებთ, რომ ამ გუნდების წინა მატჩი 1965 წელს დამთავრდა მოსკოველთა მინიმალური უპირატესობით — 40,5:39,5.

● **ᲛᲐᲚᲘᲝᲠᲙᲐ** (ესპანეთი), 27 ნოემბერი. მსოფლიოს უძლიერესი დიდოსტატები — მსოფლიო ჩემპიონი ტ. პეტროსიანი, ამ წოდების პრეტენდენტი ბ. სპასკი და პრეტენდენტთა ტურნირის ფინალისტი ვ. კორჩნოი ლიდერობენ აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში. 3 ტურის შემდეგ თვითეულ მათგანს 2,5 ქულა აქვს. III ტურში პეტროსიანმა მოუგო ფინელ ჰ. ვესტერინენს, სპასკიმ — იუგოსლავიელ ბ. ივკოვს, ხოლო კორჩნოიმ — ესპანელ რ. ტორანს. დანიელმა ბ. ლარსენმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა იუგოსლავიელ ს. გლიგორიჩთან. ახლა მათ და ამერიკელ პ. ბენკოს 2-2 ქულა აქვთ. ეს დიდოსტატები IV-VI ადგილებს იყოფენ.



ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის პრეტენდენტთა ფინალური მატჩის მონაწილენი ვ. კორჩნოი და ბ. სპასკი მატჩის დამთავრების შემდეგ ლუგანოს საჭადრაკო ოლიმპიადაში გამოდიოდნენ საბჭოთა კავშირის გუნდის შემადგენლობაში. საბჭოთა მოჭადრაკეების ბრწყინვალე წარმატებაში მათ დიდი წვლილი მიუძღვით. ოლიმპიადის შემდეგ ისინი მსოფლიო ჩემპიონ ტ. პეტროსიანთან ერთად მალიორკას გაემგზავრნენ და წარმატებით თამაშობენ იქ საერთაშორისო ტურნირში.

სურათზე: მომენტი კორჩნოისა და სპასკის (დგას) განვლილ მატჩიდან.

ფოტო ი. მორგულისისა.

„ოლიმპიური იმედის“ გამოცდაგე

ბაქოში დამთავრდა სსრ კავშირის სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ნაკრები გუნდების ტურნირი — „ოლიმპიური იმედი“. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ სამხედრო მონადირეთა საზოგადოების, „დინამოსა“ და პროფკავშირთა საკავშირო საბჭოს მესტენდურეთა ნაკრები კოლექტივები. ცეცხლის ხაზზე გამოსვლის უფლება ჰქონდათ მხოლოდ 30 წლისა და უფრო ახალგაზრდა სპორტსმენებს, მათ, ვისაც მოუხდება ჩვენი ქვეყნის სპორტული ღირსების დაცვა მიუნჰენის 1972 წლის ოლიმპიურ თამაშებში.

აზერბაიჯანის დედაქალაქის სასროლეთი ცუდი მასპინძელი გამოდგა: ქარი და წვიმა არხევდა და აძნელებდა დამიზნებას, ზუსტ სროლას. მიუხედავად ამისა ახალგაზრდობამ გამოცდა კარგად ჩააბარა.

მრგვალ სტენდზე სროლის გუნდურ ჩათვლაში თავი ისახელა პროფკავშირების ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდნენ მოსკოველები, ევროპის ჩემპიონი იუნიორთა შორის ბულბა, პოკატილო, ლენინგრადელები პოვერენოვი და ალექსეევი. აქ მეორე იყო „დინამოს“ ნაკრები. ადგილიდან სროლა მოიგო სამხედრო მონადირეთა საზოგადოების კოლექტივმა, რომლის ღირსებას იცავდნენ მეხიკოს ოლიმპიური თამაშების მონაწილე ალიპოვი, დავიდსონი, კულაკოვი (ყველა — მოსკოვი) და კლეკოვი (ლენინგრადი). პროფკავშირების სპორტსმენები ამჯერად II ადგილს დასჯერდნენ.

კომპლექსურ ჩათვლაში არმიელებმა იმარჯვეს. ცალკეულ ვარჯიშებში გამარჯვებული გუნდები თასებით დაჯილდოვდნენ, ხოლო მათი მწვრთნელები დიპლომებით. დიპლომი მიიღო პროფკავშირების მწვრთნელმა, საერთაშორისო სპორტის ოსტატმა ზ. მაჩხანელმა.

პირად ტურნირში ადგილიდან სროლა მოიგო არმიელთა მეორე გუნდის წევრმა, მოსკოველმა გულიოვმა, რომელმაც გადასროლაში აჯობა ალიპოვსა და დავიდსონს. დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა მრგვალ სტენდზე სროლაშიც. ბულბამ და პოკატილომ, აგრეთვე, არმიელმა სეროვმა 200-დან 186-186 ქულა დააგროვეს. დამატებით სერიაში ბულბამ იმარჯვა.

შეჯიბრება პირველ აცდენამდე სროლაში მოიგეს დავიდსონმა და და პოკატილომ.

დოდო ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲚᲐᲒᲝᲓᲔᲮᲘ

„კოლმეურნის“ პირველობაზე

ერთ თვეზე მეტს გასტანა „კოლმეურნის“ რაიონულმა პირველობამ ფეხბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 14 გუნდი. I ადგილი 24 ქულით დაიკავეს ნინოგორის კოლმეურნეობა „დრუჟბას“ ფეხბურთელებმა.

ქულათა მაქსიმუმით

ლაგოდეხის პიონერთა სახლის პირველობა ჭადრაკში მოიგო ი. ჭავჭავაძის სახელობის ლაგოდეხის საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლემ ზაზა ღვინიაშვილმა. მან 25 შესაძლებლიდან 25 ქულა დააგროვა.

გაიმარჯვეს სპარტაკელებმა

ქ. ლაგოდეხის საშემოდგომო სპარტაკიადაში 150 სპორტსმენი გამოვიდა საასპარეზოდ. შეჯიბრება ჩატარდა ფრენბურთში, კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთსა და ჭადრაკში. საერთო გუნდური I ადგილი მოიპოვა სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ გუნდმა.

შეხვედრა მეგობრებთან

ლაგოდეხის ბავშვთა სპორტსკოლის სპორტსმენები რამდენიმე დღით იყვნენ აზერბაიჯანის ქალაქ მინგეჩაურში, სადაც შეხვდნენ ადგილობრივი სკოლის აღსაზრდელებს. ფრენბურთელ გოგონათა შეხვედრაში აშკარა იყო მასპინძლების უპირატესობა. მათ გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1. მოჭიდავეთა ასპარეზობა ქართველმა ჭაბუკებმა მოიგეს. მათ მინგეჩაურელები დაამარცხეს ანგარიშით 5:2.

Შ. ᲙᲕᲘᲠᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲠᲐᲓᲘᲝᲡ ᲙᲝᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ

3 ზონად დაყოფილი 24 გუნდი მონაწილეობდა სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ სარაიონო პირველობაზე ფეხბურთში. ზონებში გამარჯვებულებმა გაითამაშეს საერთო პირველი ადგილი.

საუკეთესოდ ჩაატარეს შეჯიბრება ზედა ეწერის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის ფეხბურთელებმა (მწვრთნელი პ. უბილავა), რომლებმაც დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწიეს. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ ანაკლიისა და ონარიის გუნდები.

ბ. ᲐᲚᲣᲜᲘᲒᲐᲘᲐ.

ასე ხტება ბიმონი

XIX ოლიმპიურ თამაშებში ბევრი შესანიშნავი მსოფლიო რეკორდი დამყარდა. ეს კანონზომიერებაა: სპორტსმენების უმეტესობა დიდხანს და გულმოდგინედ ემზადებოდა მთიანეთის პირობებში შეჯიბრებისთვის. ამას გარდა, ოლიმპიადა პირველად გაიმართა სინთეტური მასალისგან დამზადებულ, ელასტიკურ და დრეკად ტარტანის ბილიკზე, რომელიც რბენისას დიდ სისწრაფეს, ხტომისას კი მაღალ შედეგებს უზრუნველყოფს.

სპეციალისტებმა, რეპორტიორებმა და სპორტულმა კომენტატორებმა ყველაზე შესანიშნავ შედეგად ერთხმად აღიარეს ამერიკელი ზანგი სპორტსმენის ბობი ბიმონის ფენომენალური მიღწევა სიგრძეზე ხტომაში.

რა თავისებურებებით ხასიათდებოდა ბიმონის ნახტომი, რომელმაც სპორტსმენს საშუალება მისცა მოეპოვებინა ასეთი განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებელი — 890 სმ, — ი. ტერ-ოვანესიანისა და რ. ბოსტონის მსოფლიო რეკორდზე 55 სანტიმეტრით უკეთესი შედეგი?

ბიმონის ნახტომების დასახასიათებლად გთავაზობთ ოლიმპიადაზე მისი სარეკორდო ნახტომის კინოგრამას, რომელიც ტელეეკრანიდან გადავიღეთ. ეს კინოგრამა ობიექტურად გვიჩვენებს, როგორ სრულყოფილად ფლობს ბობი ბიმონი სიგრძეზე ხტომის თანამედროვე პროგრესულ ტექნიკას.

მსოფლიოს რეკორდსმენი გამორბენს ასრულებს სრულყოფილ სტილში, სიჩქარეს ავითარებს პირველივე ნაბიჯიდან — გარბის დახრილი, სწრაფად, მსუბუქად და გრაციოზულად. გარბენში კორპუსის დახრილობას ბოლო ნაბიჯამდე (კადრი 1-2) ინარჩუნებს. მისი სირბილი სწრაფი, ნაბიჯი განიერი და ძლიერია, რასაც ხელს უწყობს ხელების მომსმელი მოძრაობა. ბიმონი არეკნისთვის თითქოს არ ემზადება და მისი კორპუსი მხოლოდ ბოლო ნაბიჯზე, გამორბენის სისწრაფის დაუკარგავად, თანდათან იღებს ვერტიკალურ მდგომარეობას მენჯის სისწრაფის აჩქარების ხარჯზე (3-4 კადრი).

ამკვრელი ფეხი თამასის ზემოდან იდგმება მთელი ტერფით, მეორე მომსმელი ამ დროს ასრულებს სინქრონულ გამქნევ მოძრაობას (5-7 კადრი).

ბიმონის ფეხების მუშაობის მანერა, გამოვარდნით რბენასთან ურთიერთკავშირში, გამორიცხავს შეკავებას და უზრუნველყოფს სარეკორდო ხტომაში ფრენის მაღალ ტრაექტორიას.

ტარტანის ბილიკმა ხელი შეუწყო გარბენში დიდ სისწრაფეს, რომელიც ბიმონმა ასე რაციონალურად გამოიყენა არეკნისას. იგი თითქოს ნახტომშიც გარბის (6-8 კადრი), ფრენში აგრძელებს რბენის მოძრაობას და სამნახევარ ნაბიჯს აკეთებს. თანადროულად მისი ხელები მუშაობენ თავისუფლად, წრიულის მსგავსი მოძრაობით, რაც ხელს უწყობს ფრენში წონასწორობის შენარჩუნებას და სპორტსმენს ეხმარება სილიან ორმოში დახტომისას ფეხების წინ რაციონალურად გატანაში (9-18 კადრი).

ბიმონმა დახტომი შეასრულა კორპუსის დიდი დახრილობით წინ და მაღლა აწეული ფეხებით (17-19 კადრი). რეკორდსმენმა სილაზე შეხებისას მუხლებში ჩაბუქნა, მენჯი და მხრები აქტიურად წამოწია ფეხებით წინ, დაძლია კრიტიკული მომენტი და ამ მუშაობის შედეგად ორმოდან ამოხტა (21-22 კადრი). შემდეგ ორმოს გარეთ შეასრულა რამდენიმე წახტომითი ნაბიჯი.

ერთი სიტყვით, ბობი ბიმონმა სარეკორდო ნახტომის ყველა ფაზა იდეალურად შეასრულა.

ზ. დიაჩკოვი,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.



კარაშუტით ზღვებსა და ოკეანეზე



ის, რომ პარაშუტის დახმარებით ციდან მიწაზე ეშვებიან, ყველამ იცის, მაგრამ მისი დახმარებით ღრუბლებამდე ასვლა არავის სმენია.

პირველი მსოფლიო ომის დროს წყალქვეშელებმა ასეთი ტრიუკი მოიგონეს: გემბანზე გამოსული მეზღვაური ანძაზე ამაგრებდა გრძელ ბაგირს, შლიდა პარაშუტს და პირქარის დახმარებით ჰაერში ადიოდა. სიმაღლიდან მისთვის უფრო იოლი იყო მიზნის მოძებნა — მაშინ ხომ რადალური დანადგარები არ არსებობდა.

70 წლის ფრანგმა მფრინავმა გამომცდელმა და ავიაკონსტრუქტორმა პიერ ლემუანმა ეს ტრიუკი სპორტული მიზნით გამოიყენა: შექმნა სპორტის ახალი სახეობა — „პარაგლაიდინგი“ — პარაშუტის დახმარებით ჰაერში ლივლივი. მართალია, პირველ ხანებში ლემუანს მიმდევრების მოძებნა გაუჭირდა, მაგრამ შემდეგ საჰაერო აკრობატის პ. ბერნარის დახმარებით მან შეძლო გაეღვივებინა ინტერესი ამ გამოგონებისადმი.

ბერნარმა გადაწყვიტა პარაშუტით ფრენა ეცადა კუნძულ კორსიკაზე. იგი 80 მეტრის სიმაღლეზე ავიდა და... ხელი უშვა 200-მეტრიან ბაგირს, რომელიც მქროლავ ავტომობილზე იყო გამობმული. უსაბელოდ დარჩენილი აკრობატი ერთ ხანს თავისუფალ ფრენას აგრძელებდა. შემდეგ ბერნარმა პარაშუტი ზღვისკენ მიმართა, სანაპიროს თავზე იტრიალა, მერე კი საფრანგეთისკენ გაფრინდა. ასე გაიარა მან 150 კილომეტრი და ისევ ხმელეთის თავზე მოექცა, ბოლოს კი კანის პლაჟზე დაეშვა.

— მალე ატლანტიკასაც გადავიფრენ, — განაცხადა საჰაერო აკრობატმა, მაგრამ ბერნარს დღემდე არ შეუსრულებია ეს სიტყვა. ამის მიუხედავად, მისმა მაგალითმა ბევრი აღაფრთოვანა. შვეიცარიაში, ავსტრალიაში, იტალიაში ხშირად ნახავთ მანქანებსა და კატერებს, რომლებიც ბაგირზე გამობმულ „ცის ფეხოსნებს“ მიაფრენენ.

რას აკეთებს თვითონ ახალი სახეობის „მამა“? ლემუანი ქმნის ახალ სამართავ პარაშუტს. მის ბოლო მოდელს აქვს 18 სპეციალური ღილაკი, რომელთა დახმარებით მოხერხებულად შეიძლება ფრენის წარმართვა. ახალი პარაშუტი მალე წარსდგება გამომცდელთა წინაშე. თვითონ ლემუანი გამოცდაზე მაყურებლის როლში იქნება, ვინაიდან პარაშუტით თავის სიცოცხლეში არ უსარგებლია.

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ლემუანის პარაშუტით ფრენის მომენტები.



• KOPANA • ФУТБОЛ • ფეხბურთი • LABДARUGAS •

ჰერსტი კვლავ ბრწყინავს

„ვესტ ჰემისა“ და ინგლისის ნაკრების ცნობილი ცენტრფორვარდი ჯ. ჰერსტი უკანასკნელი 2 სეზონის მანძილზე ერთობ უფერულად თამაშობდა, ახლა კი მისი სპორტული ფორმა მკვეთრად გაუმჯობესდა.

ჩემპიონატის მატჩში „სანდერლენდის“ წინააღმდეგ, რომელიც „ვესტ ჰემმა“ მოიგო ანგარიშით 8:0, ჰერსტმა დაამყარა პირადი რეკორდი — 6 გოლი გაიტანა (ინგლისის I ლიგის რეკორდი 1935 წელს დაამყარა „არსენალის“ ლეგენდარულმა ცენტრფორვარდმა ტ. დრეიკმა — ერთ მატჩში 7 გოლი).

პელე სათავგადასავლო ფილმში

როგორც ბრაზილიური პრესა იუწყება, პელე მონაწილეობას მიიღებს 25-სერიიან სატელევიზიო ფილმში. ეს ფილმი გაისად იქნება მზად და გადაიცემა ბრაზილიის ეროვნული ტელევიზიით.

„იგი შეცვლის ოსლიზლოს“

ასე აცხადებს ზაბჟეს „გურნიკის“ მწვრთნელი, გამოჩენილი უნგრელი სპეციალისტი დოქტორი გ. კალოჩაი თავის მოწაფეზე, 19 წლის გორგონზე.

ოსლიზლოს 52-ჯერ უთამაშია პოლონეთის პირველ ნაკრებში და ჯერ კიდევ ჩრდილავს თავის ჭაბუკ მეტოქეს, რომელიც ახლა „გურნიკის“ სარეზერვო შემადგენლობაში გამოდის, მაგრამ „გორგონი ნამდვილი ტალანტია“, — ამტკიცებს კალოჩაი. ამას წინათ მწვრთნელმა ახალგაზრდა ფეხბურთელი გამოსცადა I ეროვნულ ნაკრებში გდრ-ის ნაკრების წინააღმდეგ და ერთობ კმაყოფილი დარჩა.

გორგონი ტანმაღალია (190 სმ), მაგრამ საოცარ მოქნილობასა და სიმკვირცხლეს იჩენს.

დიდი ტურნირი იუგოსლავიაში

1969 წელს იუგოსლავიის ფეხბურთელთა კავშირს 50 წელი უსრულდება. ამ თარიღის აღსანიშნავად იუგოსლაველებმა გადაწყვიტეს ჩაატარონ დიდი საერთაშორისო ტურნირი ინგლისის, ბრაზილიის, არგენტინისა და ევროპის უძლიერესი ნაკრები გუნდების მონაწილეობით.

ამას გარდა, როგორც ფიფა-ს პრეზიდენტმა ს. როუზმა იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაციის მესვეურებთან საუბარში განაცხადა, იუგოსლავიას დიდი შანსები აქვს ჩაატაროს 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატი.

„ფენერბახჩეს“ 4 ნადავლი

1968 წლის სეზონის მანძილზე დიდ წარმატებას მიაღწია სტამბოლის ცნობილმა კლუბმა „ფენერბახჩემ“. მან მოიპოვა ბალკანეთის თასი საკლუბო გუნდებისთვის, თურქეთის ჩემპიონობა და თურქეთის თასი.

კიდევ ერთი ჯილდო „ფენერბახჩემ“ უბრძოლველად მოიპოვა. საქმე ისაა, რომ თურქეთში ყოველი სეზონის ბოლოს იმართება ხოლმე მატჩი ჩემპიონსა და თასის მფლობელს შორის. გამარჯვებულს სპეციალური თასი გადაეცემა და რამდენადაც წელს „ფენერბახჩე“ ჩემპიონიცაა და თასის მფლობელიც, ეს შეხვედრა აღარ გამართულა.

მოკლედ

● **კოპენჰაგენი.** დანიის № 1 ფეხბურთელად წლეულს აღიარებულ იქნა 21 წლის ჰ. მ. იენსენი. მან 7-ჯერ ითამაშა პირველ ნაკრებში, საერთოდ კი გამოდის კლუბ „ფს აალბორგში“.

● **ბუენოს-აირესი.** აქ ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ა. დი სტეფანომ ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი ბუენოს-აირესის ცნობილ კლუბ „ბოკა ხუნიორსთან“.

● **ლონდონი.** ცნობილი გახდა, რომ 12 დეკემბერს ინგლისის ნაკრები „უემბლის“ სტადიონზე მიიღებს ბულგარეთის ნაკრებს.

● **ტურინი.** „ტ ო რ ი ნ ო ს“ მწვრთნელმა ე. ფაბრიმ დააჯარიმა ფრანგი ცენტრფორვარდი ნ. კომბენი, რომელმაც ვარჯიშის დროს ამხანაგებს სალანძღავი სიტყვებით მიმართა.

● **რომი.** იტალიის I ლიგაში მოთამაშე უცხოელთა რიცხვი გასულ სეზონთან შედარებით 21-დან შემცირდა 16-მდე.

თბილისის სპორტულ ცხოვრება

წყალბურთი. საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის აუზი (ვაკეში). **28-29 ნოემბერი. „ა“ კლასში გადასვლის პრეტენდენტთა შესარჩევი ტურნირი.** მონაწილეობენ: „ზახმეტი“ (აშხაბადი), „ჟალგირისი“ (კაუნასი), „ტაჯიკისტანი“ (დუშანბე), პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი), ლენინგრადის, კიევისა და ტაშკენტის „ბურევესტნიკის“ გუნდები. დასაწყისი 12 და 18 ს.

კალათბურთი. სპორტის სასახლე. **1-2 დეკემბერი. სსრ კავშირის 1969 წლის პირველობა. „ა“ კლასი. ვაჟთა გუნდები.** „დინამო“ (თბილისი) — „კალევი“ (ტარტუ). დასაწყისი 20 ს.

ჭადრაკი. საქ. კპ. ცკ-ის გამომცემლობის კლუბი (ლენინის ქ. № 14). **28 ნოემბერი-8 დეკემბერი. ნ. ალექსანდრიასა და ა. ჩაიკოვსკაიას მატჩი სსრ კავშირის ჩემპიონის გამოსავლენად.** დასაწყისი 17 ს.

სასტენდო სროლა. ასკ-ის სასროლეთი. **30 ნოემბერი-1 დეკემბერი. საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატი სპორტსაზოგადოებებსა და უწყებათა შორის.** დასაწყისი 10 ს. 30 წ.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგია თანაგრძნობას უცხადებს კოლეგიის წევრს ვ. ქლენტს დედის

ელისაბედ ივლიანეს ასულ ჩხიკვიშვილ-ქლენტის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის, სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოსა და გაზეთ „ლელოს“ რედაქციის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ვახტანგ ქლენტს მისი დედის

ელისაბედ ივლიანეს ასულ ჩხიკვიშვილ-ქლენტის

გარდაცვალების გამო. დაკრძალვა კვირას — 1/XII. სოფ. დაბლაციხეში (ჩოხატაურის რაიონი).

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 12061